

ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების თანამედროვე მიმართულებები

საქართველოს მცირე ღია ეკონომიკის სრულყოფის რ. მანდელასეული “სავალუტო ანუ ფულად - საკრედიტო პოლიტიკის” თავისებურებები

გიორგი ცაავა
სტუ-ს პროფესორი

ალექსანდრე სიჭინავა
სტუ-ს პროფესორი

ლერი კობახიძე
სტუ-ს პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის საშუალო-

ვადიან პერსპექტივაზე საკვანძო ამოცანას - „საკრედიტო არხების“ ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს. თანამედროვე ეკონომიკაში კრედიტის გარეშე არა მარტო გაფართოება, არმედმართივი კვლავწარმოებაც შეუძლებელია. საქართველოს ეკონომიკისათვის ზრდის სტიმულირებაში „საკრედიტო არხი“ იყო და რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

მითითებულია, რომ სებ-მა და კომერციული ბანკების სისტემამ მთლიანობაში უნდა შეასრულოს საკრედიტო მექანიზმის „ფაქიზი აწყობა“, რომ არ დაუშვას ეკონომიკის „გადახურება“ დაკრედიტების „სირბილის“ გამო, მაგრამ ამასთან არ დაუშვას „დამუხრუჭება“ საინვესტიციო პროცესისა. საქართველოს ფინანსური სისტემის უმნიშვნელოვანესი ამოცანა - არის „გრძელი ფულის“ შიდა წყაროების ფორმირება, მათი წილის ზრდა ქვეყნის ფინანსური რესურსების საერთო მოცულობაში. კაპიტალი უნდა მუშაობდეს რეალურ ეკონომიკაზე, უნდა ინვესტირდებოდეს სამეწარმეო ძალების განვითარებაში. მიუღებელი უნდა გახდეს ქვეყნის „ზედოლარიზაცია“, რამდენადაც ეროვნული შემოსავლის ეს ნაწილი დე-ფაქტო, ჩვენს მიერ უცხოეთის უპროცენტოდ ინვესტირების საწინდარი იქნება. დაუშვებელია ემისიური დაკრედიტება, რამდენადაც ემისია - არის ფისკალური პოლიტიკა მონეტარული საშუალებებით, რომლის შედეგად იზრდება ინფლაცია, რაც ფაქტიურად საზოგადოებაზე, ლარიანი მასის მფლობელებზე გადასახადის დამატებითად გადატანას წარმოადგენს.

შეთავაზებულია, რომ საქართველოს მცირე ღია ეკონომიკისათვის რ. მანდელასეული სავალუტო ანუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დაბალანსების ამოცანის შესაბამისად, ფიქსირებული კურსების პირობებში ფულადი ექსპანსია გარდაუვლად ინვესს ოქრო-სავალუტო რეზერვების „გამორე-

ცხვას“ და ექსტრენალურად გარე დაფინანსების აუცილებლობას, რამაც შეიძლება საგარეო ვალის ზრდისაკენ მიგვიყვანოს. ამდენად ქართული „ლარის“ ფიქსირებული კურსი „უცხოური ვალუტის კალათისადმი“ მიმართებაში მერყეობით +/- 10%-ის დრეფანში უნდა იქნას დადგენილი.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული აქტივები, საკრედიტო პოლიტიკა, ფინანსური პოლიტიკა, საბანკო კრედიტი, სავალუტო კალათა, სავალუტო კურსი.

Keywords: Monetary assets, credit policy, financial policy, bank advance, basket of currencies, exchange rate.

საქართველოს ფულად - საკრედიტო სისტემის საშუალოვადიან პერსპექტივაზე **საკვანძო ამოცანას** - „**საკრედიტო არხის**“ ეფექტიანობის **ამაღლება წარმოადგენს**. **კრედიტის გარეშე** თანამედროვე ეკონომიკაში **არა მარტო გაფართოება, არამედ მართივი კვლავწარმოებაც შეუძლებელია**. საქართველოს ეკონომიკისათვის ზრდის სტიმულირებაში „**საკრედიტო არხი**“ იყო და რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის გეოპოლიტიკურ რეალობაშიც ისეთ ინვესტიციებზე უპირატესობის მინიჭება როგორცაა ქვეყნის ეკონომიკის „ზრდის სტიმულირება“ - ძალიან ოპტიმისტურია.

საქართველოს ეროვნულმა (ცენტრალურმა) ბანკმა და მთლიანობაში კომერციული ბანკების სისტემამ უნდა შეასრულოს საკრედიტო მექანიზმის „ფაქიზი აწყობა“ ისეთიანად, რომ არ დაუშვას ეკონომიკის „გადახურება“ დაკრედიტების „სირბილეს“ გამო, მაგრამ ამასთან არ დაამუხრუჭოს საინვესტიციო პროცესი. **საკვანძო ინსტრუმენტი** ასეთი „**აწყობისა**“ უნდა გახდეს - **სახელმწიფო პროგრამების როგორც „რბილი“ დაკრედიტებისა და ერთობლიობაში საინვესტიციო, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროგრამების კონტროლის თანამე-**

დროვე ინსტრუმენტი.

საკვანძო უპირატესობები მითითებული მიდგომისა შემდეგია:

1) ბიუჯეტირება, მოთხოვნილება დაკავშირებულია რესურსების წყაროებთან, არის შესაძლებლობა რესურსების კონცენტრაციისა პრიორიტეტებზე;

2) მცირდება მოთხოვნა „რბილ“ კრედიტებზე დაფინანსების გეგმის „ფილტრის“ ხარჯზე, შესაბამისად იზრდება ლიკვიდურობა საბაზრო დაკრედიტებისათვის, რომელიც საპროცენტო განაკვეთების შემცირების მექანიზმია;

3) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, გარკვეული შეღავათების დაწესებით, უნდა დაავალოს თუნდაც სამ წამყვან კომერციულ ბანკს დაკრედიტების კოორდინაცია - ყველა სახპროგრამების მიმართებაში, წარმოიქმნას საფინანსო ბაზარზე პროგრამული დაფინანსების საჭიროებების ქვეშ სესხების მექანიზმი, და ამით ეკონომიკაში გრძელი დაკრედიტების არხის ფორმირება განახორციელოს.

უმნიშვნელოვანესი ამოცანა საქართველოს ფინანსური სისტემისა - არის „გრძელი ფულის“ შიდა წყაროების ფორმირება, მათი წილის ზრდა ქვეყნის ფინანსური რესურსების საერთო მოცულობაში. კაპიტალი უნდა მუშაობდეს რეალურ ეკონომიკაზე, უნდა ინვესტირდებოდეს სამეწარმეო ძალების განვითარებაში. სწორედ სამეწარმეო სფეროს და მომსახურეობების სფეროს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უნდა იქნას დამოკიდებული ქვეყნის საბიუჯეტო-ფინანსური და საბანკო სისტემების მოდერნიზაცია. მისი საკვანძო ელემენტებია:

1) პრინციპების სრულყოფა ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობებისა ქვეყნისა და რეგიონებს შორის. მთავარი პრინციპი მარტივია - „იმან, ვინც ახალი წარმოებიდან მოახდინა ეკონომია ან მიიღო მეთი შემოსავლები, უნდავექონდეს მეთი სახსრები ადგილობრივ ბიუჯეტში“. ბიუჯეტთაშორისო ტრანზფერები და დოტაციები უნდა ფორმირდებოდეს მკაფიოდ დადგენილი საბიუჯეტო წესების საფუძველზე. საწარმოების მოდერნიზაციისაგან და ახალი წარმოების შემოსავლისაგან რეგიონებში საგადასახადო შემოსულობების ნაზარდის არა ნაკლები ორი მესამედისა უნდა წავიდეს ადგილობრივ ბიუჯეტში.

2) ეფექტიანობის ამაღლება ქვეყნის საბანკო სისტემისა, რომლის განვითარება ჯერ-ჯერობით ჩამოეჩება ეკონომიკის რეალური სექტორის მოთხოვნილებებსაგან. საუბარი მიდის არა მარტო საბანკო კრედიტების დაბალი მიღწევადობის, აქტივებისა და მშპ-ის შესაბამისობის, კორპორატიული მართვის ხარისხის შესახებ. ბანკები უნდა იყვნენ არა მარტო საკრედიტო დაწესებულებები, არამედ უნდა აწვითარებდეს ფინანსური მომსახურეობების თანმდევ მთლიან კომპლექსსაც, როგორებიცაა:

ლიზინგისაგან და საექსპორტო დაკრედიტებისაგან - მოდერნიზაციის პროექტების ეფექტიანობის პრინციპიალურ ანალიზამდე, რომელთა ქვეშ გამოიყოფა საკრედიტო რესურსები, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით. საკრედიტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის.

3) სრულყოფა ეროვნული ბანკის საზედამხებელო და საკონტროლო საქმიანობისა, განვითარება ხარისხობრივი რიკ-მენეჯმენტისა ქვეყნის საჯრედიტო დაწესებულებებში. აღნიშნული პრინციპულა მნიშვნელოვანია სახელმწიფო გარანტიების ქვეშ გაცემული კრედიტების მინიმიზაციის ამოცანასთან დაკავშირებით. ასეთი გარანტიების მიწოდების გადიდება, განსაკუთრებით რეგიონალურ დონეზე, მეურნე სუბიექტების რბილი საბიუჯეტო შეზღუდვების წინაპირობებს ქმნის.

სახსრების დაზოგვა უნდა გახდეს მაქსიმალურად მიმზიდველი სწორედ ეროვნულ აქტივებში, ამასთან არა მარტო დეპოზიტებში, არამედ ქვეყნის საწარმოების აქციებშიც, უძრავი ქონების ობიექტებში და მიწაში. მანამ, სანამ ქვეყანა იქნება „ზედოლარიზებული“, ანუ ქართველების დანაზოგების საშუალება იქნება უცხოური ვალუტა, თუნდაც დეპოზიტურ ანგარიშებზე ბანკში, ეროვნული შემოსავლის ნაწილი დე-ფაქტო ჩვენს მიერ უხოეთის უპროცენტოდ ინვესტირების საწიდარი იქნება. საკრედიტო-სადეპოზიტო ბაზრის სპეკულაციურიდან კვლავწარმოებით მოდელში ტრანსფორმაციის ამოცანა - საკვანძოს წარმოადგენს და სისტემურ გადანყვებილებებს მოითხოვს.

ამასთან არ შეიძლება დაშვებული იქნას - ემისიური დაკრედიტება. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ემისია - არის ფისკალური პოლიტიკა მონეტარული საშუალებებით, შედეგად მკვეთრად იზრდება - ინფლაცია, რაც ფაქტიურად წარმოადგენს გადასახადს მთლიანად საზოგადოებაზე, ლარიანი მასის ყველა მფლობელებზე. ამიტომ, პროგრამების ლობირებით, დაფინანსების რეალური წყაროების გარეშე, პროექტის ინიციატორებს უნდა ახსოვდეთ, რომ გამოდიან ჩვენი მოქალაქეების დამატებითად გადასახადდაბგეროს მომხრეებად. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრები უნდა იქნას მიმართული მხოლოდ არენდული საცხოვრებელის მშენებლობაზე, რომელიც რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და გარკვეული დროის შემდეგ მასში დაბანდებული სახსრები სახელმწიფოსათვის იქნება უკუგებული.

არის კიდევ ერთი, უკიდურესად მნიშვნელოვანი, მაგრამ თეორიულ დონეზე ნაკლებად განსჯადი ასპექტი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ფულად-საკრედიტო ურთიერთობებთან მცირე ღია ეკონომიკაში, - ესაა სავალუტო პოლიტიკა. ცნობილი მოდელი მანდელა - ფლემინგისა, რომელიც

მცირე ღია ეკონომიკის დაბალაცხების ამოცანას წყვეტს, რომელზეც რ. მანდელმა 1999 წელს ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკაში. მან დაამტკიცა, რომ მცირე ღია ეკონომიკისათვის რეალურად დამახასიათებელია ორი დასკვნა:

1. ფიქსირებული სავალუტო კურსებისა და კაპიტალის მობილურობის პირობებში არც ერთ მცირე ღია ქვეყანას არ შეუძლია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განახორციელოს. ნებისმიერი მცდელობას დამოკიდებული საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის განხორციელების მიმართებაში მიეყვანოთ სავალუტო ინტერვენციების განხორციელების აუცილებლობისაკენ ფიქსირებული გაცვლითი კურსის მხედველობისათვის. აქედან გამომდინარე, გაცვლითი კურსის ფიქსირებული რეჟიმი - არის ფულად სექტორში შოკების ავტომატურად მიმასწორებელი ეგრეთ წოდებული „მონეტარული ღუზა“.

2. თავისუფალი გაცვლითი კურსების პირობებში საგადასახდო ბალანსის კორექტირება სავალუტო ინტერვენციების გარეშე გაცვლითი კურსის ცვლილების ხარჯზე ხორციელდება. ქრება კავშირი საგადასახდო ბალანსსა და ფულად მასას შორის, ხოლო დამახასიათებელ პარამეტრად ხდება სავალუტო კურსი. ასეთ სიტუაციაში შიდა ფასების მოქნილობის პირობებში მონეტარული ხელისუფლებების მთავარი ამოცანა - ანტიინფლაციური პოლიტიკაა. ამასთან თავისუფალი გაცვლითი კურსი შეიძლება „რეალურ ღუზად“, ანუ ეკონომიკიდ რეალურ სექტორში შოკების აღმოფხვრის შემდეგ ეკონომიკური სისტემის შიდა მექანიზმად ჩაითვალოს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც, მაგალითად, საქართველოს ეკონომიკაში გარე ვაჭრობის მნიშვნელოვანი მოცულობისას.

ამრიგად, ეკონომიკის მონეტარული სტიმულირებით ზეზომიერად გატაცება, რის შესახებაც წერდა ჯ.მ. კეინსი როგორც ეკონომიკის დაცემის არდაშეგების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, ყველაზე უფრო მისაღებია დიდი, და არა მცირე ღია ეკონომიკებისათვის. ფიქსირებული კურსების პირობებში, მცირე ღია ეკონომიკებში ფულადი ექსპანსია გარდაუვლად იწვევს ოქროსავალუტო რეზერვების „გამორეცხვას“ და ექსტრენალურად გარე დაფინანსების აუცილებლობას, რამაც გარდა სხვა ყოველივესი, საშუალოვადიან პერსპექტივაში შეიძლება საგარეო ვალის ზრდისაკენ მიგვიყვანოს. მოცემული დასკვნის სამართლიანობა ადასტურებენ შიდა მოთხოვნის მონეტარული სტიმულირების ფინანსურ შედეგებს, რომელსაც უნდა ახორციელებდეს ჩვენი ქვეყანა გლობალური კრიზისების ნეგატიური გამოვლინებების ნეიტრალიზაციისათვის. ამდენად სავალუტო პოლიტიკით შეიძლება ქართული „ლარის“ ფიქსირებული კურსი „უცხოური ვალუტების კალათასადმი“ მიმართებაში მერყეობით +/- 10% დერეფანში იქნას დადგენილი.

პასუხები დასკვნებზე, რომლებიც წარმოიქმნებიან საქართველოს ეკონომიკაში, დევს არა მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სიმკაცრის - სირბილის, ლარის კურსის, ბიუჯეტის დეფიციტის სიბრტყეში, არამედ უპირობოდ მნიშვნელოვანია, რომ კონკურენტუნარიანობის და გრძელვადიანი ზრდის საკითხი - მართვის სისტემაზეც, წარმოების ეფექტიანობაზეც, მენარმეობის განვითარებაზეც იყოს დამოკიდებული.

დასკვნები და წინადადებები:

1. აღნიშნულია, რომ საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის საშუალოვადიან პერსპექტივაზე საკვანძო ამოცანას - „საკრედიტო არხის“ ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს.

2. მითითებულია, რომ თანამედროვე ეკონომიკაში კრედიტის გარეშე არა მარტო გაფართოება, არამედ უბრალო ჯვლავწარმებაც შეუძლებელია. ამდენად ეკონომიკის ზრდის სტიმულირებაში „საკრედიტო არხი“ იყო და რჩება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

3. შეთავაზებულია, რომ სებ-მა და კომერციული ბანკების სისტემამ მთლიანობაში უნდა განახორციელოს საკრედიტო მექანიზმის „ფაქიზი აწყობა“ ისეთნაირად, რომ არ დაუშვას ეკონომიკის „გადახურება“ დაკრედიტების „სირბილის“ გამო, მაგრამ ამასთან არ „დაამუხრუჭოს“ საინვესტიციო პროცესი.

4. აღნიშნულია, რომ საკრედიტო მექანიზმის „ფაქიზი აწყობის“ საკვანძო ინსტრუმენტი უნდა გახდეს - სახელმწიფო პროგრამების როგორც „რბილი“ დაკრედიტების, ასევე ერთობლიობაში საინვესტიციო, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროგრამების კონტროლის თანამედროვე ინსტრუმენტი.

5. მითითებულია, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანა საქართველოს ფინანსური სისტემისა - არის „გრძელი ფულის“ შიდა წყაროების ფორმირება, რაც შესაძლებელია: ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში პირდაპირი და ირიბი გადასახადების მოცულობების თანაფარდობაში საყოველთაოდ აღიარებული „ოქროს კვეთას“ თანაფარდობის დამკვიდრება, ქვეყნისა და რეგიონების ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებში, უშუალოს რეგიონებში შექმნილი საწარმოების მოდერნიზაციისაგან და ახალი წარმოების შექმნისაგან საგადასახადო შემოსულობების ორი მესამედის ადგილზე დატოვება, სამომხმარებლო კრედიტებზე (რომელთა 80%-მდე უცხოეთის პროდუქტებია) სესხების გაცემის ნაწილობრივ შეზღუდვა და უპირატესად ასეთი პროდუქტების გამომშვები ადგილობრივი საწარმოების დაკრედიტება, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გაუქმება და ბრუნვის გადასახადზე დაბრუნება (როგორც ეს აშშ-მა და იაპონიამ განახორცი-

ელა), ან დამატებული ღირებულების სიდიდის ქვეყნის ინფლაციის დონემდე შეზღუდვა, აქციზებთან მიმართებაში „მცურავი აქციზური განაკვეთის“ (თურქეთის მსგავსად) დადგენა და სხვა.

6. აღნიშნულია, რომ აუცილებელია ქვეყნის „ზედოლარიზაციის“ შეზღუდვა, რამდენადაც მანამ, სანამ ქართველების დანაზოგების საშუალება იქნება უცხოური ვალუტა, თუნდაც დეპოზიტურ ანგარიშებზე ბანკში, ასევე საარ,ოების აქტივებში, უძრავი ქონების ობიექტებში და მიწაში, ეროვნული შემოსავლის აღნიშნული მნიშვნელოვანი ნაწილი დე-ფაქტო უშუალოდ ჩვენს მიერ უცხოეთის უპრო-ვენტოდ ინვესტირებას ნიშნავს.

7. შეთავაზებულია, რომ საქართველოს მცირე ღია ეკონომიკის ეფექტიანი ზრდისა და დაბალანსების საკითხები, რ. მანდელას „სავალუტო ანუ ფულად-საკრედიტო“ პოლიტიკის საფიქველზე, დევს არა მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სიმკაცრე - სირბილის, ლარის კურსის, ბიუჯეტის

დეფიციტის სიბრტყეში, არამედ კონკურენტუნარიანობის და გრძელვადიანი ზრდის საკითხი - მართვის სისტემაზეც, წარმოების ეფექტიანობაზეც, მენარმეობის განვითარებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Луссе А. – Макроэкономика: Ключевые вопросы - учебное пособие - СПбЛ., издательство «Питер», 1999. – 240 с., ISBN 5-8046-0078-8.
2. Лучшие рефераты: Финансы, денежное обращение, кредит // Составители Г.И. Иванов, Ю.Ф. Си-монов, Серия «Банк рефератов». – Ростов н/Д: Фе-никс, 2002. – 320 с., ISBN 5-222-02556-X.
3. Мясникович М.В. – Эволюционные трансфор-мации экономики Беларуси. – Минск: Беларуская наука, 2016. – 321 с., ISBN 978-985-08-1942-0.